

უკრაინამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებს სანქციები დაუწესა



უკრაინამ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის დეფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს სანქციები დაუწესა. ინფორმაცია უკრაინის მთავრობის ოფიციალურ [ვებგვერდზეა](#) განთავსებული.

სიაში მოხვდნენ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამაზ გოგია, ე.წ. პარლამენტის წევრი აღმასხან არძინბა და ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავადებათა ელჩი ოდგე არშბა.

სანქციები დაუწესდათ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს – ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს იგორ კობაევს, ე.წ. პარლამენტის ვიცე სპიკერ რუსდან ტედეევს, ე.წ. დეპუტატებს, ბახვა თედეევსა და იგორ ჩოჩიევს, ასევე ე.წ. პრეზიდენტის მრჩეველ დავიდ გაბატის.

ამ ადამიანებს სანქციები ღონბასში ე.წ. არჩევნებზე დამკვირვებლების სტატუსით ჩასვლის გამომ დაუწესდათ.

რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების სიაში არის 294 იურიდიული და 848 ფიზიკური პირი. მათ შორის ავსტრიის, ბელგიის, ბრაზილიის, საბერძნეთის, იტალიის, ნიდერლანდების, გერმანიის, აშშ-ისა და

უნგრეთის მოქალაქეები.

imednews.ge